ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი მეცხრე.—№ 443

პარასკევი, 4 ოკტომბერი 1874.

გაზეთის ფასი
გაგზავნით: ერთი წლით—ექვსი მან., ნახევარი წლით—სამი მან., სამი თვით—ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით—სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА".

ხელის-მოწერა
თფილისში: გაზეთის „დროების" კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА".

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

## შინაარსი:

საქართველო: სალამი,—კავკასიის სამოქალაქო მმართველობის შემოსავალ-გასავალი,—წვრილი ამბები.—რუსეთი: წვრილი ამბები.—უცხო ქვეყნები: საფრანგეთი,—გერმანია,—ოსმალეთი.—საქართველოს ცხოვრებიდგან: ქართველების მასახელებელი თოკენი ბერი.—ნარევი.—განცხადებანი.

ფელტონი: სამეგრელოს სურათი—ჭ. სი.

# საქართველო

## სალამი

ერთ წელიწადზე მეტია, რაც სამზღვარგარეთ წაველი. წელიწადზე მეტია, რაც მივატოვე ქართველი ხალხი, „ქართველების ქვეყანა", ჩემი „დროება", და უკეთესის ხალხებისა და ცხოვრების სანახავად გავემგზავრე. წელიწადზე მეტია, რაც ყველაფერი, რაც აქ ჩემს გულს პასუხს — ხშირად „გულ-საკლავ პასუხს" — ეუბნებოდა, მივატოვე და მოვშორდი აქაურობას.

მომეტებული ნაწილი ამ ერთი წლისა ორ ხალხ შუა გავატარე: ფრანცუზებსა და შვეიცარიელებს შუა.

ორივე უსაყვარლესი და უბედნიერესი ხალხია ამ ჟამად მთელს ევროპაში. ორთავესი ცხოვრება და საზოგადოებრივი განწყობილება სამაგალითოა და თვალის ამხილველია განსაკუთრებით იმისთანა ქვეყნიდამ მოსული კაცისათვის, როგორც მე.

ყოველი ნაბიჯი საფრანგეთის ნიადაგისა ამ კეთილშობილური ხალხის თავ-განწირულობას, თავისუფლებისადმი სიყვარულს, ნამდვილ კაცობრიულ გრძნობას მიმტკიცებდა. მიჩვენებდა ბუნებისაგან მდიდრად შემკულ, მაგრამ გარემოებისაგან, დროებით, უბედურ მდგომარეობაში ჩავარდნილს ხალხსა და ქვეყანას. მიჩვენებდა იმის მაგალითს — თუ როგორ უნდა ცდილობდეს, რამდენ მსხვერპლსა უნდა სწირავდეს ყოველი კერძო პირი და მთელი ხალხი, თუ კი ჰსურს, რომ უბედურის, საზოგადოების დამამცირებელის მდგომარეობიდამ თავი დაიხსნას და უკეთესს წარმატების გზას დაადგეს.

საფრანგეთის ხალხი—ცხოველი, მოძრავი, წარმატების მოსურნე და მუდამ კაცობრიობის სიკეთისათვის მებრძოლი ხალხის მაგალითს წარმომიდგენდა.

შვეიცარიის დანახვა მეორე მხრით იყო ჩემთვის თვალის ამხილველი.

ეს პატარა, ალპების მთა-კლდეებზე და ტბების ნაპირებზე მიჭუჭყული ხალხი ევროპის ყველა ხალხებზე უფრო თავისუფალია და ამასთანავე ყველაზედაც უფრო მომეტებულის კეთილმდგომარეობით სარგებლობს. ბედნიერ გარემოებას ისეთი დედა-მიწის ნაწილი მიუნიჭებია იმისთვის, რომ თავისუფლად, დაურიდებელად და უშიშარად ცხოვრება შეუძლიან. არც მომეტებული პოლიტიკური ღელვა, არც მთავრობისაგან შევიწროება, არც ეხლანდელი სოციალური მდგომარეობის მომეტებული უსამართლოება იმას ძალიან არ აწუხებს.

სამშობლოს თავგადადებით სიყვარულმა, თავისუფლებამ და გაუწყვეტელმა, მოუსვენარმა შრომამ—შედარებით ბედნიერი და კეთილი ცხოვრება მიანიჭა იმას.

დღეს მე ისევ ჩემს ქვეყანაში, ჩემს ხალხში, ჩემს „დროებასთან" ვბრუნდები.

რა ცვლილებას ან წარმატებას ვხედავ აქ? —არავითარს!

ისევ ის მიძინებული საზოგადო ცხოვრება. ისევ ძველებური წვრილმანი, კერძო სარგებლობისათვის და ინტერესებისათვის თავგანწირული ბრძოლა. ისევ ძველებური უთანხმოება, შფოთი და განხეთქილება თანამოძმეებს, თანამემამულეებს შუა.

საზოგადო სამშობლოსა და საზოგადო საქმეების ზრუნვის მაგიერ — პიროვნებითი სარგებლობის სამსახური, სიყვარულის მაგიერ — სიძულვილი, შრომის მაგიერ — უზრუნველობა, იმედის მაგიერ —სასოწარკვეთილება!

ეს ჩვეულებრივი სიუხვე ჩვენი საზოგადო ნაკლულევანებისა და სიძუნწე წარმატებაში მე არ მაკვირვებს: ერთ წელიწადში, არათუ ხალხი და საზოგადოება, ვერც კერძო პირი გამოიცვლის იმ ხასიათებს, რომელიც რამდენიმე ათი წლის განმავლობაში შეუთვისებია. სამწუხარო მხოლოდ ის არის, თუ ამის ლტოლვილებაც არა ჩანს..... მაგრამ ამის თქმას ჩვენს ხალხზე არ გავბედავ...

რაც უნდა იყოს, დღეს მე სიხარულით და სიამოვნებით ვბრუნდები ჩემს სამშობლო ქვეყანაში, და ვიჭერ ამავე ალაგს, რომელიც ერთი წლის წინათ მეჭირა.

უცხო ქვეყნებისა და ხალხების დანახვამ ჩემი ქვეყანა და ხალხი უფრო მომეტებულად შემაყვარა. იმათ ცხოვრების გაცნობამ საუკეთესო მომავლის იმედი და მომეტებული ენერგია აღძრა ჩემში....

ეს იმედი იქნება ჩემი წინამძღომელი და ენერგია ჩემი საქმის წინ წამწევი.....

სალამი მკითხველს!

ს. მესხი.

## კავკასიის სამოქალაქო მმართველობის შემოსავალ-გასავალი

ხშირად გაიგონებთ ხოლმე ჩვენში ზოგიერთ მოსულ პირებისაგან, რომ კავკასიის შემოსავალი გასავლის მეოთხედს და ვერც მეხუთედს ვერ შეადგენსო; რამდენიც იხარჯება კავკასიაზე, იმის მეხუთედიც ძლივს შემოდისო. ეს აზრი რომ სრულებით მართალი არ არის, დასამტკიცებლად მოგვყავს რამდენიმე საინტერესო ციფრები ერთი რუსული გაზეთიდამ.

1868-წლამდი კავკასიის სამოქალაქო მმართველობის შემოსავალ-გასავალი ადგილობრივ ფინანსიური ადმინისტრაციის ხელში იყო. ფინანსის სამინისტრო მხოლოთ იმ შემთხვევაში გამოგზავნიდა კავკასიაში ფულებს, როდესაც ადგილობრივი შემოსავალი გასავალს ვერ აუვიდოდა. 1868 წლიდამ, როგორც დანარჩენს რუსეთის იმპერაში, კავკასიაშიაც კასსის ერთობა და სმეტური სისტემა შემოიღეს. ამის შემდეგ ფინანსის სამინისტროს სულ თან-და-თან ნაკლების დამატება სჭირია ყველა გასავლის დასაკმაყოფილებლად. მხოლოთ მომავალ 1875 წელს ფინანსის სამინისტროს უფრო მომატებული ხარჯი დასჭირდება, რადგან, როგორც რუსული გაზეთი ამბობს, ერთის მხრით შემოსავალმა იკლო და გასავალი კი მატულობსო.

ამნაირად 1875 წელს უნდა შემოვიდეს—6,840,448., წელს კი შემოსავალი შვიდ მილიონზე მეტი იყო. ყველაზე უფრო მოაკლდა ხაზინას თამბაქოს შემოსავლიდამ (405,000 მან. უფრო ნაკლე, ვიდრე წელს); ამის მიზეზი ახალი აქციზის სისტემის შემოღება იყო.

გასავალი უნდა იქნეს—6,962,075 მან., ე. ი. 126,182 მანეთით უფრო მომეტებული, ვიდრემ წელს იყო.

ამ ანგარიშიდამ ცხადათ ჰხედავთ, რომ ცენტრალური ფინანსიური ადმინისტრაცია სულ 396,873 მანეთს იძლევა კავკასიის სამოქალაქო მმართველობის შემოსავალ-გასავლის გასათანასწორებლად.

ამ ანგარიშში ის ფულები არ არის, რასაკვირველია, მოყვანილი, რაც კავკასიის ჯარებზე და ერთი სიტყვით, რაც კავკასიის მხედრობაზე იხარჯება.

---

სიამოვნებით ვაცნობებთ „დროების" მკითხველებს, რომ უფ. აკ. წერეთელი, რომელიც, სხვა და სხვა მიზეზების გამო, უკანასკნელი წლის განმავლობაში მონაწილეობას არ იღებდა ჩვენს გაზეთში, ეხლა ისევ დაგვპირდა თავის თანამშრომლობას.

---

მთელი საქართველოდამ წელს საზოგადოთ ღვინის მოსავალზე ძალიან კარგი ხმები ისმის. ამბობენ, კახეთში, ქართლში და იმერეთში ამისთანა ღვინის მოსავალს ეს ოცი წელიწადია არ მოსწრებიანო. ღვთის მადლით კახეთს ჯერ არც კალია სწვევია და არც სეტყვა.

ღომსა და სიმინდს კი უჩივიან იმერეთში. გვწერენ, კარგი ამინდები არ ჰქონდაო: ზაფხული წვიმიანი და შემოდგომა კი ქარიანი იყოო.

⁂

# ფელტონი

## სამეგრელოს სურათი

ბევრი ხანი იყო, რაც სამეგრელო არ მენახა; ორიოდე სიტყვა რომ ვიცოდი, ისეც თითქმის დამვიწყებია; ხალხის ხასიათი და ჩვეულება რაღაც მეუცხოვა, ასე რომ ახლა, ათი წლის შემდეგ, მეგონა უცნობს ხალხს ვხედავდი. ამ დროის განმავლობაში სამეგრელოში შემოსულა ახალი წესი, ყმები განთავისუფლებულან. და ამ ახალ-წყობას დაუგდია ხალხის ცხოვრება თავის მამაპაპური გზიდამ და მიუცია სრულებით სხვა ნაირი მიმართულება; ერთის სიტყვით სამეგრელოს ხალხის ცხოვრებაში დაწყებულა ისეთი ისტორიული პროცესი, რომელიც გვიან თუ ადრე სამეგრელოს ხალხს მიიყვანს განათლების კარამდინ სხვა საქართველოს ნაწილებზედ ადრე. ჩვენ გვინდა განუზიაროთ მკითხველს ზოგიერთი აზრი, ახლანდელს სამეგრელოს მდგომარეობაზე და იმედია, რომ ეს აზრი უსარგებლოდ არ დარჩეს მკითხველისათვის. როგორც ყმების განთავისუფლებამდინ, აგრეთვე ახლაც, სამეგრელოში მთელი ხალხი განიყოფების ორ ნაწილად: ერთის მხრით დგას აზნაურობა და მეორეს მხრით გლეხობა; ეს უკანასკნელი, ე. ი. გლეხობა უწინდელ დროში იყო მიწის მუშა და აზნაურობის მრჩენელი, ამ ნაირად წინეთ ერთი ნაწილი არჩენდა მეორეს.

მებატონეს საზრდო თავის დღეში საზრუნველად არ ჰქონდა; ამისათვის ეს ოჯახის თავი უფრო დროს გასატარებელ საქმეებს ეწაფებოდა: ნადირობდა, დადიოდა სტუმრად „ვაითარარის" მღერით და სხვა...

ამასთან, როგორც ყველამ იცის, ანდრია მოციქულის აქეთ ყველანი ზრახვენ მეგრელებს ქურდობისათვის. მაგრამ ეს ჩვეულება, ჩემის აზრით, უწინ უფრო დროს გასატარებლად იყო და არა თავის სარჩენ საშუალებად; მაგრამ საზოგადოების უმეტესს ნაწილს ეს ჩვეულება მიაჩნდა სასირცხვილოდ და კაცის პატიოსნების დამამცირებელ საქმედ.

მაგრამ დროთა ვითარებამ შესცვალა მათი გული და დაავიწყებია მამაპაპური პატიოსანი გრძნობა. ის მამული, რომელიც უწინ ჰქონდა ერთს მემამულეს, ახლა დაიყო ხუთ ანუ ექვს მემკვიდრებთ შორის; მაშასადამე ერთხელ კარგი და მდიდარი მამული შემცირდა. ამასთან მოვიგონოთ, რომ აზნაურობას შემდეგ გლეხებიც ჩამოერთვათ დაეკარგათ ლუკმა-პური და შრომას გადაჩვეული წოდება დარჩა თავის გაღარიბებულ მამულში.

რასაკვირველია, რომ ამ ნაირ მდგომარეობაში თავის თავს ვერ ირჩენდა აზნაურობა. მუცელმა თავისი მოითხოვა და ის უხეირო ჩვეულება ახლა თავის სარჩენელ წყაროდ გადაექცა აზნაურობის ზოგიერთს ნაწილს. ამ ჩემს სიტყვებს ბევრი დამტკიცება არ სჭირია: ყოველი უკანასკნელი მეგრელი გეტყვის, რომ ასეთი ქურდობა, კაცის კვლა და ნამუსის გატეხა, როგორც

⁂

ამ გაზაფხულს ერთს სომეხს, რომელსაც იჯარით ჰქონია აღებული სოხუმში მყოფი ჯარის საზრდო, რამდენიმე ასი ჭირიანი ხარი გაურეკია სამეგრელოზე, აფხაზეთზე და სამურზაყანოზე. ეხლა გვატყობინებენ, რომ ამ ჯოგს დაუჭირიანებია იქაური მცხოვრებლების ხარ-კამბეჩი და ბევრი გლეხისათვის უკანასკნელი სარჩო წაურთმევია; ამ ჭირს ზოგი გლეხისათვის 50—100 ხარ-კამბეჩი მოუკლავს და სულ, როგორც ამბობენ, სამეგრელოში, აფხაზეთში და სამურზაყანოში 200,000 ხარ-კამბეჩამდი დაუხოცია.

ურიგო არ იქნებოდა, მგონია, ვისიც რიგია, ამ გვარ ხალხის დამღუპველ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს.

⁂

წასულს შაბათს (სექტემბრის 28-ს) ერთ საათს რვა მინუტ ნაკლებ ტფილისის მცხოვრებლებმა ერთი ნაწილის მზის დაბნელება ნახეს. დაბნელება თითქმის ორ საათს გაგრძელდა; 2 საათზე და 20 მინუტზე თითქმის სამი მეოთხედი მზისა სრულიად დაბნელებული იყო; სამ საათზე და 48 მინუტზე კი გათავდა. დაბნელების დროს დედა-მიწაზე ძალიან მკრთალი სხივი იყო მოფენილი და ჰაერი ცოტა არ იყოს აგრილდა.

ცრუ-მორწმუნე მკითხველს ნუ შეეშინდება: ეს მზის დაბნელება არც მეორეთ მოსვლას, არც დედა-მიწის დაწვას, არც გველეშაპის გაგულისებას, არც ქათმის ჭირს, არც სისხლის ღვრას, არც დიდი სახელმწიფოს დაღუპვას და არც პატარას აღდგენას არ მოასწავებს....

ამის მიზეზი უბრალო გარემოებაა: დედა-მიწასა და მზეს შუა მთვარე ჩადგა და იმან დაჩრდილა ჩვენი მანათობელი და სითბოს მომფენი პლანეტი. . . .

⁂

სამშაბათსა და ოთხშაბათს მცხეთის დღესასწაულზე, წელს, ჩვეულებრივზე მომეტებული ყრილობა იყო. რკინის გზამ გაუადვილა ტფილისელებს იქ მისვლა და დროების გატარება. ორი დღის განმავალობაში ზურნა, სამხედრო მუზიკა, ჩვენებური ფალავანდობა, სმა, ჭამა არ გაწყნარებულა. . .

⁂

ამ დღეებში ჩვენ მოგვივიდა ქუთაისიდამ, უფ. ინგილო ჯანაშვილისაგან, ერთი წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, ერთი აქაური ვაჭრის შემდეგი სიტყვებია მოყვანილი:

„იმისი მიზეზი, რომ ვაჭრები ქართულ გაზეთს იშვიათად იწერენ და არ ჰკითხულობენ, ის გარემოება გახლავთ, რომ ამ გაზეთსა საჭირო ცნობები აკლია.“

ამ ნაირი საყვედური „დროების“ რედაქციას ხშირად გაუგონია და, თუმცა ამ საყვედურს ერთის მხრით კანონიერი საფუძველი აქვს, მაგრამ, ზოგიერთი შესაწყნარებელი მიზეზის გამო, ჩვენ ჯერ-ჯერობით ვერ დაგვიყმაყოფილებია ჩვენი პატივცემული ვაჭრების სურვილი. ერთს შემდეგ ნომერში ამ საგანს ჩვენ ცალკე სტატია უნდა უძღვნათ და ამიტომ ეხლა იმის მეტს არას ვიტყვით, რომ მომავალი წლიდამ ჩვენ განგვიზრახავს გაზეთის გამოცემაში რამდენისამე ცვლილების მოხდენა და ამ ცვლილებებში საჭირო ამბებსა და განცხადებასაც კანონიერი ყურადღება ექნება მიქცეული.

⁂

მისი იმპერატორებითი უმაღლესობა კავკასიის ნამესტნიკი წასრულ შაბათს მობრუნდა ბორჯომიდამ ქალაქს და მეორე დღეს ვლადიკავკაზს წაბრძანდა.

⁂

გაზეთი „ტფ. მოამბე“ გვაცნობებს, რომ კავკასიის მთავარ სამმართველოს უფროსი, ბარონ ნიკოლაი, თერთმეტი თვის ვადით ეთხოვება სამსახურს და ქალაქიდამ მიდის. ამ დროს განმავალობაში მის მოადგილეთ სტატს-სეკრეტარი, თ. ბ. ბაგრატიონ-მუხრანსკი იქნება.

⁂

სექტემბრის 28-ს ეჩმიაძინში სომხების სასულიერო აკადემია გაიხსნა, რომელშიაც სომხის სამღვდელო პირებმა სწავლა უნდა მიიღონ და მღვდლებად მოემზადონ.

## „დროების“ კორრესპონდენცია

სოფ. ზემო-მაჩხაანი, (ქიზიყი) 25 სექტემბერი.

ნათქვამია: „კარგს მთქმელს, კარგი გამგონი უნდაო“. ამისი არ იყოს, თუ ყოველ რიგიან წესდებულებას, რიგიანი საქმეში მომყვანიც არა ჰყავს, თუ წესდებულება დარჩება მხოლოდ წესდებულებად და არ განცხოველდება, მაშინ დაჰკარგავს თვის ძალას და მნიშვნელობას, მოაკლდება იმ სარგებლობას, რომლის იმედით და სურვილით დადგენილია, და რიგიანი წესდებულება გადიქცევა მხოლოდ ხმად, მღაღადებელად უდაბნოსა შინა.

ავიღოთ, თუნდა, ის ახალი წესდებულება, რომლითაც დაარსდა სასოფლო სასამართლოები; ეს წესდებულება რომ ფრიად სასარგებლოა, ამას ეჭვში ვერვინ შევა, ვერვინ ეტყვის, რომ ეს ყველასთვის ერთობ სასურველი საქმე არ იყოს. მაგრამ ვერც კი ვინმე იმას დაჰფარავს, რომ ბევრს შემთხვევაში მისი გონივრული მიზანი და მნიშვნელობა არ მართლდება, რომ ხშირად არა კეთილ სარგებლობენ ხსენებული წესდებულებით ის პირნი, რომლებიც არიან სასოფლო სასამართლოების წარმომადგენლები და რომლებზედაც სრულებით დამოკიდებულია ასრეთი ანუ სხვაფრივი დაბოლოება მათთვის მინდობილი საქმისა.

რამდენათ უეჭვოა ეს უკანასკნელი აზრი, მკითხველს შეუძლია შეიტყოს, თუ ჰქონია ანუ აქვს მას რომელიმე დაახლოვება სოფელთან და სოფლის ხალხთან, სასოფლო სასამართლოებთან და იმათ წარმომადგენელთან. ამის გამო მე საჭიროდ აღარ ვრაცხ შეუდგე ნათქვამი აზრის დამტკიცებას, მხოლოდ ვაცნობებ მკითხველს ერთს ფაქტს, ფრიად საყურადღებოს და ამ ჩემი სალაპარაკო საგნის შესახებს.

ამ მოკლე დროში ერთმა აქაურმა ოჯახის შვილმა, მცხოვრებმა ს. ძოტაანში, დაკარგა სკივრიდამ ვერცხლის ქამარი. ამის მოპარვის ეჭვი თავის შვილზედ შეიტანა, იმისთვის პირველად, რომ ეს უკანასკნელი სხვა დროსაც ჰყოლოდა მას შენიშნული ამ გვარ კეთილ საქციელში და მეორეთ, რომ უცხო ქურდი ასე ადვილად ვერ დასტოვებდა ნივთებით სავსე სკივრსაო. ეს გარემოება ნივთის დამკარგველმა შესჩივლა სოფლის მოსამართლეებს, რომლებს კიდეც სთხოვა დაესაჯათ შინაური ქურდი, რომ სხვა დროს ამის მზგავსი ველარა გაებედა რა. პატივ-ცემულ მსაჯულებს, ნაცვლად იმისა, რომ მოჩივრის თხოვნა დაეკმაყოფილებინათ, დაებარათ ბრალდებული და მიეცათ ამ ნაირი კითხვა.

— რას მოგვცემ, რომ მამი შენის საჩივრიდან წმინდათ გამოგიყვანოთ და ეს საქმე იმას მოვახვიოთ კისერზედ, ვისაც შენ გვიჩვენებ (*)?

ამ ყმაწვილს აღუთქვა მსაჯულებისთვის 50 მან, იმ პირობით, რომ ამ სირცხვილიდგან ეს გამოეხსნათ და იმის ბიძაშვილი კი გაებათ, რომლისაც, დროდგანვე მათის გაყრისა, ბრალდებული დაუძინებელი მტერი ყოფილიყო იმ უბრალო მიზეზისაგამო, რაც ხშირათ მოხდება ხოლმე მოძმეთა შორის, ქონების მეტ-ნაკლებ გაწილ-გამოწილაზედ. ხსენებულ მსაჯულთ, მიღლოთ თუ არა აღთქმული, აღარ დაეხანებინათ თვისი განზრახვა, რომლის აღსრულებისთვის შეუდგინათ ესრეთი პლანი: დაებარებინათ მოჩივარი და ეთქვათ:

—თუ გინდა, რომ შენი მტრის ჯავრი ამოიყარო, დრო ეხლა გაქვს. ამაზედ უკეთეს შემთხვევას ველარ იპოვი იმის დაღუპვისთვის, ქალალდი შემოიტანე ჩვენთან იმ საგანზედ, რომ ვითომც სკივრიდამ ქამართან ფულიც დაჰკარგე და ეჭვი იმ შენ მტერზედ გაქვს. ჩვენ, შენი შემოტანილი ქაღალდის ძალით, გამოძიებას მოვახდენთ და სახლს გაუშინჯამთ იმას მაშინ, როდესაც შინ არ იქნება, შენს შვილს თან წავიყვანთ, ქამარსაც თან წავაღებინებთ, რომ სახლის შინჯვის დროს ეს უკანასკნელი სადმე მიაგდოს და შემდეგ, მითომ პირველად ხედამს, დაიძახებს; „აი, ჩვენი დანაკარგი აქ სადა ძევს!“ ამ საქმეზედ ჩვენ აქტს შევადგენთ, რომლითაც შევამოწმებთ, რომ შენი დანაკარგი, რომელსაც შენს შვილს აბრალებდი, გამოჩნდა შენი მტრისას. ამ აქტს, რასაკვირველია, წაიღებ გამომძიებელთან და ყველას ისე მოახსენებ, როგორც ჩვენ დაგარიგებთ.

როგორც სთქვეს, მართლად ისეც შეასრულეს. შემდეგ ეს საქმე გადასცეს მოადგილე გამომძიებელს...

შინიას-ხეველი.

საჩინო, 25 სექტემბერს.

საჩინოს პატარა მაზრა (ქუთაისის უეზდში) ისეთი მდებარეობის და ნაყოფიერი ადგილია, რომლის ტოლი მთელ ქვემო იმერეთში თითქმის არ მოიპოვება. მე ამის მეტს არას ვწერ შესახებ საჩინოს მდებარეობისა, რადგანაც ეს კორრესპონდენცია არის სხვა მიზნით დაწყებული.

როგორც ყველგან ჩვენში, საჩინოს მაზრის მცხოვრებნიც შესდგებიან თავადებიდგან, აზნაურთაგან და გლეხებიდგან; ამათში მხოლოდ გლეხობას აქვს გამართული სასწავლებლები, მაგრამ იმისთანა სასწავლებლები, სულ რომ არ იყოს, ბევრი არა დაგვაკლდება რა.

აქაურ სასწავლებლებში ისეთი მასწავლებლები მოუყვანიათ, რომელთაც ორი თუ სამი კლასი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში გაუთავებიათ, ისეც კიდევ ბაბუაჩემის დროს და, რასაკვირველია, არა რის მცოდნენი ასწავლიან ბავშებს უთავბოლოთ, იმასაც კვირაში ერთხელა, რადგან ისინი სოფლის სასამართლოს მწერლობის თანამდებობასაც ასრულებენ.

საწყალი გლეხები, თუმცა ფულებს იხდიან, მაგრამ, უცოდინარობის გამო, მათ არ იციან, სად მიდის იმათი ექვს-ექვსი შაური,

---

(*) ეს გადმოცემა მე კეთილ სარწმუნო პირმა, რომლისთვისაც ხსენებულ მსაჯულთ თითონვე ეანბათ.

---

ახლა გახშირებულია სამეგრელოში, არასოდეს არ ყოფილა; ამასვე გვიმტკიცებს გამოულეველი პროცესსები ქურდობის თაობაზე.

ამას დაამატეთ პატიოსნების დამცირება, ერთმანეთის ღალატი და საძაგელი შური ურთიერთ შორის, და მაშინ თქვენ წარმოგიდგებათ ნამდვილი სურათი აზნაურობის ნაწილისა.

ამ ნაირ საზოგადოებაში არავითარ ჭეშმარიტებას და კეთილ საქმეს არ ექნება ფასი; ამისთვის ძნელად საფიქრებელია, რომ ამ საზოგადოებამ მიანიჭოს თავიანთ შვილებს განათლება. მაშასადამე ამ საზოგადოებას შემდეგაც არ მოელის კეთილი მომავალი; ამ ნაირ მდგომარეობას გამოუვალი ვალი და სიღარიბე მოსდევს.

ასეთს უნუგეშო მდგომარეობაში არის ერთი მხარე სამეგრელოს ხალხისა.

ეს ზემო-გამოთქმული აზრი მოვახსენე ერთს პატიოსანს თავადიშვილს და უთხარი, რომ ამ საშინელი მომავლიდამ განათლების მეტი ვერა გიხსნისთქო; ამაზე მან მიპასუხა შემდეგი:

—რა ექნათ! გავზარდეთ შვილები, ადვოკატობით ამოგვაგდეს, არ გავზარდეთ-ქურდობით; მაინც მოსულა ჩვენი ბედის წერა, ვიყოთ ისე, როგორც ვიყავით, შეუჩვეველ ლხინს შეჩვეული ჭირი სჯობიაო„. მიპასუხა ჩემმა ნაცნობმა და ამოიხვნეშა ნაღვლიანათ.

სულ სხვანაირ სურათს წარმოგვიდგენს მეორე მხარე—გლეხობა.

ჯაფაში და მუშაობაში აღზრდილი ხალხი განთავისუფლდა და შეუდგა იმ ხელობას, რომელიც უფრო ეხალისებოდა მას.

როგორც დაძინებულმა კაცმა გამოიღვიძოს და ხელი მოჰკიდოს დატოვებულ საქმეს, ისე სამეგრელოს გლეხობამ ერთობით მოკიდა ხელი ვაჭრობას და ამ მოკლე დროში მიაღწია იქამომდე, რომ ეხლა მესამედზე მეტმა იცის რამე ხელობა: ნოვოროსსისკიდამ დაწყებული ქუთაისამდინ დიდი და პატარა ქალაქები სულ მეგრელებით არის გავსებული; მათ ნახავთ ყოველგან: მოჯამაგირეთ, ვაჭრათ, მოხელეთ, მატროსათ და სხვა... ამ ნაირად ყველასთვის ცხადია მეგრელების კომერციული (ვაჭრული) ლტოლვილება და ეს ლტოლვილება არის განათლების თავი, როგორც გვიმტკიცებს ყველა ძველი და ახალი ხალხების ისტორია.

ჩვენ ვხედავთ, რომ სამეგრელოში ერთი წოდება (აზნაურობა) თან და თან მცირდება და მეორე კი მიდის განათლების და სიმდიდრის წყაროსაკენ.

ამის გამო თითქმის დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, გვიან თუ ადრე, უპირატესობა დარჩება სამეგრელოში უფრო მდიდარს და განათლებულ გლეხობას, თუ აზნაურობა არ გამოფხიზლდა და არ შეუდგა მუშაობას და განათლების მიღებას.

ჭ.

რომელიც კლასისათვის არის დანიშნული. რომ რამე გაეგებოდეთ, უთუოდ გაუფრთხილდებოდნენ ამ გვარ საქმეებს და ლოთების მაგიერ კარგ მასწავლებელს იშოვნიდნენ.

თავად-აზნაურის შვილებისათვის კი აქ არ არის არც ვაჟებისა და არც ქალების შკოლა, არც არავისა ყავსთ თავიანთი შვილები მიცემული სასწავლებელში, გარდა მღვდლებისა.

ეს ახალი დროის მოთხოვნილების დაუკმაყოფილება ჩვენი კეთილშობილებისაგან დაუდევნელობას უნდა მივაწეროთ, თორემ რა უშავსთ, რომ შკოლა გახსნან. განა ძნელი იქნება, რომ თითო მოსახლე კეთილშობილთაგანმა გამოიღოს რამდენიმე ფული და ამ საზოგადო ჯამით დაარსონ ორ-კლასიანი შკოლა? რა საკვირველია, თვით მაზრაში შკოლის დაარსება უკეთესია, ვინემ პატარა ყმაწვილის გაგზავნა სხვა ქალაქ-ადგილზე, რადგანაც მშობლებს არ აქვსთ იმდენი შეძლება, რომ ბავშვს ცალკე ხარჯი აძლიონ და ფულიც იხადონ სწავლისათვის. იქ ბავშვს ყურის-მგდებელი არ ჰყავს, რომლის მიზეზით პატარა მოსწავლეები ეჩვევიან სიზარმაცეს, სიბინძურეს და ბაზარ-ბაზარ ხეტიალს. განა ბევრად არ ემჯობინებოდა, რომ ბავშვებს აქვე გახსნილ შკოლაში დაასრულებიონ კარგ მასწავლებელს ხელ-ქვეშ, ორი კლასი თუ არა, პირველი მაინც, და ამნაირი მომზადებული შემდეგ გაეგზავნათ ქალაქის სასწავლებელში?

თუ ჩვენი ესრედ წოდებული კეთილშობილები ასე არ მოიქცნენ, თუ იმათ ღირსეული ყურადღება არ მიაქციეს თავიანთი შვილების გამოზრდას, ეჭვი არ არის, რომ რამდენიმე ათი წლის განმავლობაში იმათი ადრინდელი გლეხები სწავლის შემწეობით ყველაფერში გადააჭარბებენ თავის ნაბატონებს.

თფილისი

ი. ქ. საჩინოელი

# რუსეთი

რუსეთის მთავრობამ ამას წინათ უფ. კოპილოვი გაგზავნა კულჯაში გამოსაკვლევლად — თუ რა და რა მადნეულობა იპოვება ამ ახლად დაპყრობილ ქვეყანაშიო. თავის მგზავრობის დროს, უფ. კოპილოვს, სხვათა შორის, ერთგვარი გარეული აბრეშუმის ჭია უნახავს, რომელზედაც „მმართებლობის მოამბეში“ საინტერესო ცნობებია დაბეჭდილი. ეს ჭიები ჩვეულებრივ აბრეშუმის ჭიებზე უფრო პატარაა და მოწითალო.

იმ ქვეყანაში, სადაც უპოვნიათ, ისინი სჭამენ იმ მცენარის ფურცელს, რომელსაც ჩვენში რძია-რძიას ეძახიან და რომლის ფურცლებში და ღეროში თეთრი, რძის მსგავსი წვენია. პარკსაც ამავე მცენარეზე აკეთებენ ეს ჭიები. თუ პარკს კარგათ მოუარა კაცმაო, ამბობს უფ. კოპილოვი, ძალიან მაგარი და კარგი თვისების ქსელის გამოყვანა შეიძლებაო. ერთს აქაურ აბრეშუმის მომყვან მეოჯახეს უსინჯავს და მოუნდომებია ამ ჭიების თუთის ფურცლით რჩენა; მაგრამ, მესამე მიძინების შემდეგ, ყველა ჭიები დახოცილა. უფ. კოპილოვს ტაშკენტის მთავრობისათვის წარუდგენია ამ ახალი ჭიის კვერცხები და ცდიან: სხვაგან ივარგებს სადმე, თუ არაო.

⁂

იმ ურთიერთ-დამხმარებელ საზოგადოებას გარდა, რომელიც რუსეთის მწერლებმა გამართეს პეტერბურღში, ეხლა კიდევ მეორე ამ გვარივე საზოგადოება იმართება. რამდენიმე იქაურ გაზეთების თანამშრომელნი შეკრებილან და გადაუწყვეტიათ, ფული გამოიღონ და ერთმანეთში ამ გვარივე საზოგადოება შეადგინონ, რომ, გაჭირების დროს, საზოგადოებას თავის წევრების დახმარება შეეძლოს.

⁂

ვარშავაში შესდგა ამას წინათ კამპანია, რომელსაც ჰსურს იკისროს იმ ქვა-ნახშირისა და სხვა მადნეულების წარმოება, რომელიც პოლშაში მოიპოვება. ამ კამპანიას, რომლის დამაარსებლები ლეოპოლდ კრონენბერგი და იაკობ ნატანსონია, ერთი მილიონ და ნახევარი (1,500,000) მანეთი აქვს თავდაპირველად ამ საქმის წასაყვანად (6,000 აქცია, თითო 250 მანეთად). მართებლობას ამ კამპანიის წესდებულება დაუმტკიცებია.

⁂

ოდესის მაზრის სასამართლოში ამას წინათ ერთი ქალი გამოსულა და თავის საქმე თვითონვე დაუცავს. იმის მოწინააღმდეგედ ერთი იქაური ნაფიცი ვექილი ყოფილა.

ერთი ამგვარივე შემთხვევა ვორონეჟშიაც მომხდარა: ერთს ქურდობაში ბრალდებულ დამნაშავეს თავის დამცველად ქალი აურჩევია და სასამართლოს გადუწყვეტია, რომ ამ ქალს უფლება აქვს დამნაშავის დასაცველად ილაპარაკოსო.

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი

ამ კვირაში აქ მიღებული გაზეთები ჯერ კიდევ მენისა და ლუარის დეპარტამენტში რესპუბლიკური კანდიდატის გამარჯვებაზე ლაპარაკობენ.

ამორჩევებამდი თითქმის ყველა პარტიების გაზეთები ამტკიცებდნენ, რომ ამ კენჭის ყრაზე იქნება დამოკიდებული — თუ რომელ პარტიას უნდა მიეცეს უპირატესობა მმართებლობის ფორმის დადგენაშიო. მაგრამ ეხლა, როდესაც რესპუბლიკური კანდიდატი აირჩიეს, ბონაპარტიელები, შამბორის მომხრეები და ორლეანელები ამბობენ, ეს რესპუბლიკური კანდიდატის გამარჯვება ჩვენი სიგლახის, ჩვენ შორის უთანხმოების ბრალი არისო, თორემ ხალხს სრულებით რესპუბლიკის დაფუძნება არა ჰსურსო.

რამდენათ საფუძვლიანია ამისთანა მოსაზრება რესპუბლიკის მტრებისა — შემდეგი ანგარიში გვიჩვენებს: 1871 წლის 2 ივლისიდამ ვიდრე 1874 წლის 13 სექტემბრამდი საფრანგეთის სხვა და სხვა დეპარტამენტებში სულ — 182 დეპუტატის ამორჩევა იყო და ამ რიცხვში ხალხმა — 150 რესპუბლიკელი დეპუტატი აირჩია და მხოლოთ — 32 მონარხიელი.

ამ ამორჩევებში რვა მილიონ ნახევარ კაცმა ჩააგდო კენჭი და ამ რიცხვიდამ თითქმის ექვსი მილიონის ხმა რესპუბლიკის სასარგებლოთ იყო.

— როდესაც ნაციონალური კრება დათხოვნილია, დეპუტატები დეპარტამენტებში და სხვა ქალაქებში მიდიან და იქ პოულობენ დროს და შემთხვევას, რომ ილაპარაკონ.

ამ მოკლე ხანში ტიერს წარმოუთქვამს სიტყვა, როდესაც კაზიმირ პერიეს მამულში ყოფილა, და ჟულ სიმონს — ქალაქ ანგულემში. ტიერს, სხვათა შორის, უთქვამს მიზიდში თავმოყრილ ხალხისათვის:

„დარწმუნებული იყავით, რომ ჩემი მეგობარის-კაზიმირ პერიეს შემწეობით, ჩვენ საფრანგეთში მკვიდრი რესპუბლიკის დადგენას მოვახერხებთ.“

ჟულ სიმონს დიდი სიტყვა წარმოუთქვამს, რომელშიაც წინ-დახედულობას, ზომიერობასა და მშვიდობიანობის დაცვას ურჩევდა რესპუბლიკელებს. სთქვა:

„ჩვენ მთელ ქვეყანას უნდა ვაჩვენოთ და დავუმტკიცოთ, რომ რესპუბლიკა არც ოჯახისა, არც სარწმუნოებისა და არც მეცნიერების წინააღმდეგი არ არის; რომ ის არის მხოლოთ ცრუმორწმუნოებისა და ბოროტების მტერი; რომ იმას კეთილ-დღეობისა და თავისუფლების მკვიდრად დაარსება ჰსურს, და არათუ ჰსურს, შეუძლია კიდეცა“.

— რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია ტელეგრამმა, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ მმართებლობას ორი რესპუბლიკური გაზეთისათვის (Siècle და XIX Siècle) ქუჩაზე ცალკე ნომრების გაყიდვის უფლება წაურთმევია.

## გერმანია

ეს ორი თვეა გერმანიაზე ისე არ დაიწყებენ ლაპარაკს, რომ ესპანიაც და რუსეთიც არ ახსენონ. საქმე იმაშია, რომ გერმანიამ პირველად ჩამოაგდო დიპლომაციაში იმაზე ლაპარაკი, რომ ეხლანდელი ესპანიის მმართველის — მარშალ სერრანოს — მმართებლობა ყველა სახელმწიფოებს კანონიერად ეცნო.

ამ წინადადებას რუსეთი არ დაეთანხმა; იმის უცხო საქმეების მინისტრი ამტკიცებს, რომ, რადგან სურრანომ ძალადობით და ხალხის დაუნებურად ჩაიგდო ხელში ესპანიის გამგეობა, ამიტომ იმის მმართებლობის კანონიერად აღიარებაზე ჩვენ არ დავეთანხმებითო.

პოლიტიკოსებს ეგონათ, რომ ეს გარემოება რუსეთსა და გერმანიას შუა უთანხმოებას და უკმაყოფილებას ჩამოაგდებსო. მაგრამ ეს მოსაზრება უსაფუძვლო გამოდგა: რუსეთის მინისტრი უცხო ქვეყნების საქმეებისა თავის ოფიციალურ გაზეთში პირ-და-პირ აცხადებს, რომ სერრანოს მმართებლობის კანონიერად ან უკანონოთ აღიარება ისეთი საქმე არ არისო, რომელსაც რუსეთსა და გერმანიას შუა რაიმე უკმაყოფილების ჩამოგდება შეეძლოსო; რუსეთს, გერმანიასა და ავსტრო — ვენგრიის შუა სრული თანხმობა და კეთილ-განწყობილობა ჰსუფევსო.

— გერმანიის პარლამენტი ეხლა დროებით დახურულია და, გაიხსნება თუ არა, სხვა და სხვა პარტიები და მმართებლობა ბევრი ახალი კანონის პროექტების წარდგენას აპირებენ. სხვათა შორის, მომავალ სხდომებისთვის მმართებლობას დაუმზადებია ახალი წესდება სახალხო განათლების თაობაზე.

## ოსმალეთი

ოსმალოს სახელმწიფო კანონების ძალით, ხონთქრის ტახტის მემკვიდრედ ყოველთვის ის რჩება, ვინც გარდაცვალებული ხონთქრის ოჯახში ყველაზე უფრო ხნიერია. ამ კანონის ძალით, თითქმის მუდამ რომელისამე ხონთქრის გარდაცვალების შემდეგ, იმის ტახტს ძმა იჭერდა.

ეხლანდელ ხონთქარს აბდულ-აზისს ამ მემკვიდრეობითი წესის შეცვლა ჰსურს და განზრახვა აქვს, გარდაცვალების შემდეგ თავის უფროსი ვაჟი იუსუფ-იზედდინი დასვას ოსმალოს ტახტზე. მაგრამ, როგორც ამბობენ, ხალხი ამას ძალიან ეწინააღმდეგებაო. ეხლა სულთანს უნდა თავის ვაჟს სარდლობა მისცეს ყველა ოსმალოს ჯარებისა, რომ იმის უფროსობას ცოტ-ცოტათ მიაჩვიოს ხალხი.

## საქართველოს ცხოვრებიდგან

### VII

### ქართველების მასახელებელი თონიკე ბერი

976 წელს საბერძნეთში იმპერატორად იყო ვასილი მეორე. ამის დროს საბერძნეთი ძალიან დიდს გასაჭირში ჩავარდა. ერთმა წარჩინებულმა ბერძენმა, რომელიც იმპერიის აღმოსავლეთის ნაწილებში მართველად იყო, გამოუცხადა ვასილს ურჩობა; ამის სახელი იყო ბარდა სკლირი. ამ კაცმა რამდენჯერმე დაამარცხა იმპერატორის ჯარები და ისრე შეაშინა კოსტანტინეპოლის სამეფო კარი, რომ იმან არ იცოდა, რა ექმნა. ყველა იმისი წარჩინებული სპასალარები დამარცხებულნი იყვნენ; ჯარები ამოწყვეტილი ჰყვანდა და მრავალი ქალაქები სრულიად აოხრებული იყო.

ამ გასაჭირის დროს იმას ერთიღა იმედი დარჩენოდა: ეს იმედი იყო საქართველო. იმპერატორმა ვასილიმ საჩქაროდ მოახდინა სახელმწიფო თათბირი. შეიყარნენ ყველა ნაზირ-ვეზირები და გადასწყვიტეს საქართველოსთვის შემწეობის თხოვნა.

ამ დროს ქართველებს ძლიერ დიდად ჰქონდათ ხმა გავარდნილი. იმათი ხმლისა და ხანჯლის ხმა მთელს აზიაში და საბერძნეთში ქუხდა. მაგრამ ქართველებში ყველაზე უფრო წარჩინებულნი და სახელ-განთქმულნი მეომარნი იყვნენ გარე-ქართლში მცხოვრები ახალციხელები და სამცხე-საათაბაგოელები. ამ სამცხე-საათაბაგოში მთავრობდა დავით კურატპალატი. ამ კაცის სახელიც მეომრობით ძლიერ განთქმული იყო.

ამ გასაჭირს დროში საბერძნეთის სამეფო კარმა გადასწყვიტა, რომ ამ დავით კურატპალატს ესთხოვოთ შემწეობაო; დააპირეს დიპლომატიური წერილის გამოგზავნა; მაგრამ კაცს ვერ შოულობდნენ, რომ ეს წერილები გამოეტანებინათ. ბოლოს, დიდის ფიქრის შემდეგ, სამეფო თათბირმა მოიგონა ბერი თონიკე, რომელიც ამ დროს, შემდეგ მამაცური მხედრული ცხოვრებისა, იმყოფებოდა ათონის მთაზე და ევედრებოდა ღმერთს. ე ბერი მიიწვიეს, უამბეს საბერძნეთის გასაჭირი მდგომარეობა და სთხოვეს, რომ წერილები წამოეღო საქართველოში დავით კურატპალატთან.

ის დათანხმდა, წამოიღო წერილები და მოვიდა ეხლანდელს ახალციხის მაზრაში. დავით კურატპალატს იმან აუხსნა ის სარგებლობა და სახელი, რომელსაც საქართველოს ერი შეიძენდა ამ შემწეობით. ამასთანავე საბერძნეთი საქართველოს უთმობდა მცირე აზიაში მიწებს. ამ გვარის რჩევის შემდეგ, დავითი დათანხმდა; მისცა თორმეტი ათასი რჩეული ცხენოსანი მხედარი და გაისტუმრა. თონიკე რომ მივიდა საბერძნეთში, იმპერატორს უარი უთხრა სპასალარობაზე; მაგრამ ქართველებმა და იმპერატორმა დიდის ხვეწნით დაითანხმეს.

მამაცმა ბერმა თონიკემ, ქართლის აზნაურიშვილმა, გაიძრო ბერობის სქემა, შეიარაღდა მშვენიერად, შემოირტყა ქართული ხმალი, მიუძღვა ქართველების ჯარებს და დაუწყო ბარდა სკლირს ძებნა მცირე აზიაში. ამ ძებნაში ის დაბინავდა თავის ჯარებით გალირის მდინარის ხეობაში და უცდიდა მტერს. ეს ადგილი ამისათვის აარჩია, რომ აქ უფრო კარგათ იმოქმედებდა ცხენოსანი ჯარი, ვიდრე სხვაგან. სკლირმა რომ შეიტყო ეს ამბავი, მაშინვე გაუგზავნა სა-

ჩუქრები ალეპის ემირს და სთხოვა შეწეობა. მაგრამ ამ დროს ქართველებს მოცდა არ უყვარდათ. იმათი მოძრაობა ელვა-ჭექასავით მალი იყო. მტერს არ ელოდებოდნენ, შევარდენივით მიეტევებოდნენ ან დაამარცხებდნენ, ან სრულიად ამოწყდებოდნენ. მათი სამხედრო სახელი და თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა, რომ მტრისათვის მომზადების დროიდა მიეცათ. მაშინდელმა ქართველებმა იცოდნენ მარჯვე დროთი სარგებლობა. აი ეხლაც ასრე მოხდა. თონიკე ბერმა არ აცალა სკლირს, რომ ამას მოსვლოდა შემწეთ ალეპის ემირი თავის ჯარით: შევარდენივით დაესხა თავს და ნაცარ-ტუტა ადინა. სკლირს თითქმის მთლად ჯარი ამოუწყვიტეს. ამის შემდეგ სკლირმა აღარ იცოდა სად შემძვრალ იყო და დანარჩენი სამასის კაცით გადაეხვეწნა დატყვევებას. ქართველებს ამ ომში ძალიან დიდი დოვლა დარჩათ და ეს ყველამ თანაბარათ გაიყვეს.

ამის შემდეგ თონიკე დაბრუნდა თავის ჯარებით კონსტანტინეპოლში. საბერძნეთის სასახლეში დიდის სიხარულით მიიღეს თონიკე, რომელმაც დაამშვიდა ბერძნების შინაური გნხეთქილება ქართველების წარჩინებული შემწეობით. სახელმწიფო კარმა თონიკეს უთხრა, რომ ითხოვე რაცა გსურს, ყველაფერს მოგცემთო; მაგრამ თონიკემ წუთის სოფლის დიდებაზე უარი ჰყო და სთხოვა, რომ ათონის მთაზე მაჩუქეთ მიწა და იმდენი ფული, რომ აქ მონასტერი აშენდეს ქართველებისთვისო. იმპერატორმა ვასილიმ ყოველივე თხოვნა აღუსრულა.

გახარებული თონიკე დაბრუნდა ათონის მთაზე და აღაშენა ივერიის მონასტერი და პირობისა მებრ მრავალი სხვა ეკლესიები ახალციხის მაზრაში. ათონის მონასტრის დასრულების შემდეგ, იმან თავისი ხმალი და იარაღი მონასტრის სალაროში დააწყო. და ამბობენ, რომ ხმალი ამ ქართველების მასახელებელი ბერისა ეხლაც მონასტრის სალაროში იმყოფებაო.

აი, ასრეთი მამაცი და სახელოვანნი ყოფილან უწინდელ დროში ქართველები და საქართველოს სულიერნი მამანი, რომლების დიდებით და სახელით სული გვიდგა ახლანდელ მშიშარ, დაჩაგრულ და გალაჩრებულ ქართველებსა. *)

ინგილო ჯანაშვილი.

# ნარევი

წრევანდელი ბრესლავლის კრება ბუნების გამომეძიებელთა შესანიშნავი იყო იმით, რომ ამ სხდომაზე ერთი მოხუცებული დედა-კაცის გვამი გამოსაცდელად, დამარხვის მაგიერად, დაწვეს. ბუნების გამომეძიებლებს გარდა ამას იქაური პოლიციის უფროსიც დასწრებია. ერთი საათის განმავლობაში ამ დედაკაცის გვამი, რომელიც 70½ გირვანქას იწონიდა, სრულებით დაიწვა მაშინაში, ასე რომ მხოლოთ სამი გირვანქა ძვლის ნაცარი დარჩა.

⁂

თავის-მკვლელობა ევროპაში თანდ თან მატულობს. საფრანგეთში 1826 წ. 1,73 კაცმა და ქალმა მოიკლა თავი; 1872 წელს კი 5,275; მაშა სადამე 40 წლის განმავლობაში თავის მკვლელობის რიცხვი გასამებულა. იტალიაში 100,000 კაცზე ყოველ წელს თითქმის ოთხი იკლავს თავს, ინგლისში — ექვსი, ავსტრიაში — შვიდი.

კაცები უფრო ხშირად დამბაჩით ან თოფით იკლავენ თავს, ქალები წყალში ვარდებიან. შენიშნულია, რომ კაცები უფრო ხშირად ფულის საქმისათვის შორდებიან ამ წუთი სოფელსა და ქალები კი უბედური სიყვარულის გამო.

⁂

ერთი დანიელი ექიმის გამოკვლევით მწვანე შპალერიან ოთახში ძილი ან დიდხანს ყოფნა ძალიან მავნებელია კაცისათვის; ექიმი ამტკიცებს, რომ მწვანე შპალერში ისეთი სალებავი ურევიაო, რომლის ჩასუნთქვა კაცის აგებულებას შხამივით ვნებსო; რამდენიმე მაგალითი მოჰყავს, რომელიც ამტკიცებს, რომ ამ ნაირ ოთახში მწოლიარე კაცები ნელ-ნელა მოწამლულან.

⁂

ლონდონის ერთს სასახლეში ამას წინათ კატების გამოფენა ყოფილა. ინგლისიდამ და სხვა ქვეყნიდამ მოუყვანიათ საუკეთესო და უდიდესი კატები გამოსაფენად და ბევრი იმათგანი, როგორც ამბობენ, მართლაც მშვენიერები და გასაკვირველი მოდგმისანი ყოფილან. ამ გამოფენაში შვიდასი კატა იყო.

⁂

ვენაში კიდევ უფრო ახირებული გამოფენა ყოფილა: დიდ-ცხვირიანებისა! ამ გამოფენაზე ოთხმოცი ისეთი კაცი და ქალი გამოცხადებულა, რომელნიც მაყურებლებს თავიანთი ცხვირების სიდიდით და აჭრელებულ ფერით აკვირვებდნენ. მაგრამ საჩუქარი მხოლოდ ორს მიუღია: ერთს მუშას და ერთს მრეცხელ დედაკაცს, რომელთაც ყველაზე უფრო დიდი და შესანიშნავი ცხვირები ჰქონდათ.

⁂

გამოჩენილმა ინგლისის სახელმწიფო კაცმა ლორდ გლადსტონმა — ამ მოკლე ხანში ერთი შესანიშნავი წიგნი გამოსცა, რომელთაც კათოლიკე ეკლესიაზე სხვათა შორის, შემდეგი სიტყვებია მოყვანილი:

„თუ კაცმა თავის სამოქალაქო და პატრიოტული ვალდებულებანი არ უარ ჰყო და ზნეობით და სულიერ თავისუფლებაზე არ აიღო ხელი, ისე იმას არ შეუძლია მიემხროს იმ ეკლესიას, რომელიც ყველა თანამედროვე აზრებსა და კაცობრიობის ისტორიულ წარმატებას ეწინაღმდეგება.“

⁂

ამას წინათ ერთი ნაცნობი კაცი მოსულა გარიბალდისთან და რაღაც საქმის დასაწყებად ფულები უთხოვნია. ყველამ იცის, რომ გარიბალდის ფულები არა აქვს. მაგრამ უარის თქმა არ ნდომებია და იმიტომ ნეაპოლის ერთს ბანკში შემდეგი წიგნი მიუწერია:

„მიეცით ამ კაცს ფულები; პირობას გაძლევთ, რომ უკანვე მიიღებთ. თუ საჭირო იქნება, გირაოთ ჩემი კუნძული, კაპრერა, მიიღეთ, რომელსაც ეხლა ფასი დაედვა, რადგან კარგათ შევამუშავე.“

ნეაპოლის ბანკმა სიტყვაზე ენდო გარიბალდის და იმწამსვე მისცა იმ კაცს, რამდენიც ეჭირებოდა.

⁂

ნაპოლეონის ერთი შთამომავალთაგანი, რომელიც ამ უკანასკნელ დროს ნეაპოლში ცხოვრებდა, რაღაც სხვა და სხვა ავაზაკობისა და ცუდ-კაცობისათვის იქაურ მთავრობას დაუჭერია და სამართალში მიუცია.

⁂

— გეტტინგენის უნივერსიტეტში ერთ რუსის ქალს სოფია კოვალევსკისას დოქტორობის ღირსება მიუღია, რომელსაც თავისი თხზულებით მათემატიკის ცოდნა გამოუჩენია. ეს მეორეთ არის, რომ ეს უნივერსიტეტი ქალს მეცნიერულს ღირსებას აძლევს.

⁂

— ერთს მეთვალმარგალიტე ნემეცს გამოუგონია თვლების ხელოვნობით კეთება. ამბობენ, ასეთ თვლებს აკეთებს ეს კაცი, რომ ძალიან გამოცდილი თუ გამოიცნობს და გაარჩევს ნამდვილი თვლებისაგან, თორემ სხვა ვერავინაო.

# განცხადებანი

## თბილისის გუბერნიის აზნაურობას

**ზედამხედველი კომიტეტი თფილისის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა მიიწვევს თბილისის გუბერნიის ყველა თავად-აზნაურებს, ვისაც კი ბანკის დამაფუძნებელთ რიცხვში შესვლა სურს** § 1, 1 შენიშ., 3 ქ. თანახმად, **გამოაცხადონ თავისი სურვილი** ზედამხედველს კამიტეტში ქაღალდის შეტანით **ამ წლის თხუთმეტ ნოემბერზედ არა გვიან. განცხადებასთან უნდა წარმოადგინონ** ადგილობრივის უეზდის აზნაურობის წინამძღოლისა ანუ ჯეროვანის ქალაქის უფროსების **მოწმობა, თუ** საშუალო რიცხვით **რამდენი შემოსავალია** უძრავის (სოფელში ან ქალაქში მდებარის) ქონებისაგან, რომელიც განცხადების შემტანს ეკუთვნის.

**ზედამხედველი კომიტეტი თფილისის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა უცხადებს თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურებს, ვისაც** გლეხთა პირადის თავისუფლებისათვის სასყიდელი მიუღია და და არ შემოუტანია თავისი ხვედრი ფული ბანკის დასაფუძნებელი თავნის შესადგენად, **აგრეთვე იმათაც, ვისაც** ფული შემოუტანია, მაგრამ ამ ფულში კანონიერი კვიტანციები არ მიუღია, **რომ ფულების მიღება და კვიტანციების დარიგება უნდა მოხდეს ამ წლის ოკტომბრის პირველიდგან დაწყებული ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით, შუადღიდგან ერთს საათამდის,** იქ სადაც დეპუტატთ კრება არის, თავადის ანდრონიკოვის სახლებში.

---

უფ.—ნი ალიხანოვი, მიზანდარი და სავანელი ამ წლის პირველის ოკტომბრიდგან მიიწვევენ იმათ, ვისაც სიმღერისა და ფორტეპიანოზედ თამაშის სწავლა სურს, ქაბას შკოლაში, კონსულის ქუჩაზედ, მირზოევის სახლებში, რომელიც წინეთ კრიჟანოვსკის იყო.

პირობები შეიძლება შეიტყონ დილის ცხრა საათიდგან ნაშუადღევის ორ საათამდის, ხსენებულს შკოლაში, სადაც მსურველები დროზე უნდა ჩაეწერონ.

---

### ისყიდება 10,000 ლამპა,

რომელნიც ახლად მოტანილი არიან საზღვარს გარეთიდგან. ეს ლამპები ბევრად უკეთესია უწინდელებზედ, უკეთესი მოწყობილობის არიან, ასე რომ ცეცხლი არ გაუჩნდებათ. ისყიდება აგრეთვე კანდელები და ყოველივე ლამპებისათვის საჭირო ნივთები სხვა და სხვა სახისა და ფერისა.

**ლამპების საწყობი** მაქვს შაბუროვის სახლებში, სასახლის წინ და **მაგაზინი** — კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ქალაქს გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ პირდაპირ მაგაზინში გამოგზავნონ მოთხოვნილება.

იმედი მაქვს, რომ პატივცემული საზოგადოება უწინდებურად ყურადღებას მიაქცევს ამ ჩემს განცხადებას.

**ცატუროვი.**

---

ვაცნობებ საზოგადოებას, რომ მე ვხსნი ქუთაისში კანტორას, სადაც მიიღება დაწერა და შედგენა, როგორც შავად, აგრეთვე თეთრათ, ყოველ გვარის არძებისა, საჩივრებისა, პასუხებისა და სიგლების პროექტებისა.

მივიღე რა გამოცდილება დიდის ხნის ნამსახურობით ვითარცა ძველის, ეგრეთვე ახალის საქმეების წარმოებაში და წესებში, მე იმედი მაქვს სინიდისიანად დავაკმაყოფილო საქმეების მქონის ხალხის მოთხოვნილება და სურვილი,; მივცე მას დარიგება და დავაყენო ისეთ საიმედო გზაზედ, რომ ადვოკატი საჭირო აღარ დარჩეს მისთვის და მომეტებულს ხარჯს ასცილდეს. ფასს შრომისათვის მოვითხოვ ზომიერს.

კოლ. ას. სიმონ ივანეს ძე მესხი.

---

ექვსის თვის ანგარიში

### ოძისის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობის აღებ-მიცემისა

1874 წლის 21 მარტიდამ 21-ს სექტემბრამდის
დამტკიცებულ-შემოწმებული რჩევისაგან
23-ს სექტემბერს 1874 წელსა.
ამხანაგობაში ირიცხება წევრად ორას
ორმოცდა ოთხი კაცი.

ა.) შემოსავალი

| | | |
|---|---|---|
| 1.) | წევრთაგან შემოტანილი საწილო ფული | 1470 მ. 40 კ. |
| 2.) | სესხი, რომელიც ამხანაგობამ აიღო დამფუძნებელთაგან | 1500 მ. |
| 3.) | ამხანაგობამ ისესხა ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისაგან და კერძო პირთაგან. | 2110 მ. |
| 4.) | სასარგებლოდ შეტანილია კერძო პირისაგან | 40 მ. |
| 5.) | სარგებელი აღებული გასესხებულის ფულისაგან | 216 მ. |
| 6.) | დაბრუნდა სესხი ახალ ვადა მიუცემელი | 100 მ. |
| | სულ შემოსულა | 5,481 მ. 40 კ. |

ბ.) გასავალი

| | | |
|---|---|---|
| 1.) | გასესხებულა | 4,350 მ. |
| 2.) | შეტანილია თფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში... | 150 მ. |
| 3.) | სარგებელი მიცემული ნასესხზედ ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში | 42 მ. 46 კ. |
| 4.) | დახარჯულა გამგეობაზედ. | 285 მ. 50 კ. |
| 5 ) | სარგებელი დაბრუნდა ვადაზედ წინათ გარდახდილის ნასესხისა | 1 მ. |
| | სულ გასულა | 4,828 მ. 96 კ. |

გ.) კასსა.

| | | |
|---|---|---|
| 1.) | შეტანილია ტფილისის სავაჭრო ბანკში | 100 მ. |
| 2.) | ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებამ გამოგვირიცხა წესდების თანახმად. | 5 მ. 30 კ. |
| 3.) | ნაღდი ფული არის კასსაში .. | 547 მ. 14 კ. |
| | სულ | 652 მ. 44 კ. |
| | გასავალი არის | 4,828 მ. 96 კ. |
| | ერთიანი ჯამი | 5,481 მ. 40 კ |

გამგეები: მიხეილ ქადაგოვი.
გრიგოლ ოსეფოვი.

---

### ბიბლიოგრაფიული ცნობა.

იბეჭდება და მოკლე დროში გამოვა გასასყიდათ **„საუმაწვილო კონა“** ანუ პირველ-დაწყებითი მოთხრობანი ბუნების მეცნიერებიდგან, პირველი ნაწილი, **შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან.**

---

დაიბეჭდა და ისყიდება ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში და ახალციხეს ანნა მუსხელოვისას“ სახელმძღვანელო რუსული ენის სასწავლებლად ქართველ ახალ მოსწავლე ყმაწვილებისათვის (Руководство къ практическому изученію русскаго языка для грузинъ) შედგენილი გ. კალანდარიშვილისაგან. ფასი სამი აბაზი.

---

*) ბარათა-შვილი თავის საქართველოს ისტორიის III-მე რვეულში, 28 გვერ. ამბობს: ამ შემთხვევაზე „ქართლის ცხოვრებისა“ გარდა, ლაპარაკობენ, კიდევ ლებო და ჩამჩიანი, აგრეთვე საფარის ეკლესიის ზედ-წარწერა და ათონის მონასტრის მატიანეო.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Октября 1874 г.* Типографія Меликова и Ко. გამომცემელი ს. მელიქოვი რედაქტორი ს. მესხი.